ქ. რუსთავის მე-18 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი (ი. წიკლაური) სათანადოდ ვერ ახდენს სასწავლო პროგრამებში მოცემული თემების გაკვეთილებად დანაწილებას. VI² კლასში მოსწავლეებს გამოკითხა დავალებად მიცემული „მარტივი მექანიზმები. ძალის მხარი, ძალთა წონასწორობა ბერკეტზე“, რის შემდეგაც უნდა აეხსნა „ბერკეტის წონასწორობის კანონის გამოყენება ბლოკზე და ოწინარზე. მუშაობათა ტოლობა მარტივი მექანიზმების გამოყენების დროს“, მაგრამ მასწავლებელმა ძალიან მცირე დროში ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე გამეორებით მოახდინა დავალებად მიცემული მასალის გადაცემა, ამიტომ მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა დარჩათ აღნიშნულ მექანიზმებზე. ამავე ქალაქის მე-19 საშუალო სკოლის VI³ კლასში მასწავლებელმა (ე. კატანოვა) ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე მოახდინა დავალებად მიცემული „მუშაობათა ტოლობა ბერკეტის მაგალითზე (ცდით)“ გამოკითხვა, ახალი მასალის — „მექანიზმის მ. ქ. კ.“ გადაცემა და VI² კლასში გაკვეთილისათვის განკუთვნილი მთელი დრო მოანდომა დავალებად მიცემული სავარჯიშოდან აღებული მარტივი ამოცანის ამოხსნას. ამ კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია. ასევე სუსტად მუშაობენ ქ. თბილისის 29-ე (მ. შალელაშვილი), 47-ე (გ. სუხაშვილი), 71-ე (ლ. მექერია), 87-ე (ბ. არო-

შიძე), ქ. რუსთავის მე-13 (რ. ნადირაშვილი) და ბოლნისის რაიონის რატევნის (ლ. კოტილაშვილი) საშუალო სკოლების VI კლასების ფიზიკის მასწავლებლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმებული ზოგიერთი სკოლის VI კლასებში ჩატარებული საკონტროლო წერების შედეგად გამოირკვა, რომ დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე ფიზიკაში. ისინი ვერ ფლობენ ახალ სასწავლო პროგრამაში მოცემულ ძირითად, საკვანძო საკითხებს, უძნელდებათ სახელმძღვანელოდან აღებული მარტივი სახის ამოცანების ამოხსნა, კითხვებზე პასუხის გაცემა და უხეშ შეცდომებს უშვებენ არითმეტიკული გამოთვლების დროს. ქ. რუსთავის მე-18 საშუალო სკოლის VI[1] კლასის (მასწავლებელი ი. წიკლაური) 38 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 30-მა მოსწავლემ. მე-19 საშუალო სკოლის VI[1] კლასის (მასწავლებელი ე. კატანოვა) 28 მოსწავლიდან ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ შეძლო წერითი დავალების შესრულება. ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლის VI კლ. (მასწავლებელი ქ. კუზანოვი) 24 მოსწავლიდან შეფასება „2" მიიღო 15-მა მოსწავლემ, მე-6 საშუალო სკოლის VI კლასის (მასწავლებელი ნ. ლაშხი) 24 მოსწავლიდან—15-მა, ბოლნისის რაიონის ბოლნისის ქართული საშუალო სკოლის VI კლასის (მასწავლებელი მ. ცინცაძე) 27 მოსწავლიდან—15-მა, ბოლნისის რუსული საშუალო სკოლის VI კლასის (მასწავლებელი ს. კუიუმჩევა) 25 მოსწავლიდან—12-მა, კაზრეთის რუსული საშუალო სკოლის VI კლასის (მასწავლებელი ვ. ტერეხოვა) 19 მოსწავლიდან 17-მა და რატევნის საშუალო სკოლის (მასწავლებელი ლ. კოტილაშვილი) 23 მოსწავლიდან—13-მა მოსწავლემ.

საშუალო და რვაწლიანი სკოლების VI კლასებში ახალი სასწავლო პროგრამით ფიზიკის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას დიდად უშლის ხელს ის, რომ სკოლები საკმაო რაოდენობით უზრუნველყოფილი არ არის ფიზიკის ახალი სახელმძღვანელოებით. ქ. რუსთავის საშუალო და რვაწლიანი სკოლების VI კლასებში ირიცხება 2.165 მოსწავლე, მიღებული კი აქვთ 1.096 ეგზემპლარი სახელმძღვანელო.

ქ. რუსთავის მე-18 საშუალო სკოლის VI კლასების 116 მოსწავლიდან ფიზიკის სახელმძღვანელო აქვს 49-ს, ბოლნისის რაიონის ბოლნისის ქართული საშუალო სკოლის VI კლასების 108 მოსწავლიდან—70-ს, კაზრეთის საშუალო სკოლის VI კლასის 21 მოსწავლიდან—8-ს და სხვა.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ამ მხრივ შემოწმე-ბული ქალაქებისა და რაიონის სხვა სკოლების VI კლასებში

VI და VII კლასებში ფიზიკის ახალი სასწავლო პროგრამე-ბითა და სახელმძღვანელოებით სწავლების საქმეში გამოვლინებული სერიოზული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთ სკოლაში სუსტადაა დაყენებული შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. სკოლების დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში საჭირო ხელმძღვანე-ლობას, დახმარებასა და კონტროლს ვერ უწევენ მასწავლებლის მუშაობას. ისინი ღრმად ვერ სწვდებიან მასწავლებლის მუშაობის შინაარსს, არ აძლევენ მათ საჭირო მითითებებს საგნის სწავლე-ბის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. რვაწლიანი და საშუალო სკოლების ფიზიკის მასწავლებ-ლებმა:

ა) სრულ წესრიგში მოიყვანონ კაბინეტები, იზრუნონ მათი გეგმიანად შევსებისათვის, ზუსტად დაიცვან კაბინეტების მოვლისა და ხელსაწყო-იარაღების შენახვის უსაფრთხობის წესები, განსა-კუთრებული ყურადღება მიაქციონ თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებას, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ სკოლის სახელოს-ნოები და წრეობრივი მუშაობა;

ბ) სისტემატურად იზრუნონ კვალიფიკაციის ამაღლებისა-თვის, საფუძვლიანად ემზადონ თითოეული გაკვეთილისათვის, მაქსიმალურად გამოიყენონ სწავლებაში თვალსაჩინოება და მეტი ადგილი დაუთმონ გამოთვლითი, თვისობრივი, ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიშს და მოსწავლეთა დამოუ-კიდებელ მუშაობას;

გ) აღმოფხვრან ფორმალიზმი სწავლებაში, მეტი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების უნარის გა-მომუშავებას, მოსწავლეთა წარმატების შეფასების დროს განსა-კუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, თუ როგორ უკავშირებს მოსწავლე თეორიის ცოდნას პრაქტიკულ საკითხებს.

2. საშუალო და რვაწლიანი სკოლის დირექტორებმა და დი-რექტორის მოადგილეებმა სასწავლო მუშაობის დარგში:

ა) მიიღონ საჭირო ზომები ფიზიკის კაბინეტებისათვის აუცი-ბელი სათავსოს გამოყოფაზე. უზრუნველყონ კაბინეტი ახალი ნი-

მუშის დგამ-ავეჯით, მოაწყონ ელექტროგაყვანილობა და დამიწელება; სისტემატურად აწარმოონ კაბინეტების შევსება საჭირო ხელსაწყოებით, მოდელებით, სასწავლო პლაკატებით, სქემებით, დიაპოზიტივებით, დიაფილმებითა და სხვა;

ბ) სისტემატურად დაესწრონ ფიზიკის გაკვეთილებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, თუ როგორ უკავშირდება სწავლება პრაქტიკულ საქმიანობას, რამდენად იყენებენ მასწავლებლები ხელსაწყო-იარაღებს სწავლებაში, ტარდება თუ არა პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო ცდები, ლაბორატორიული სამუშაოები და პრაქტიკუმები;

გ) ზუსტად დაიცვან ცალკეული კლასების ფიზიკის ახალ სასწავლო პროგრამებზე გადასვლის გრაფიკი, ამასთან დაკავშირებით ჩაატარონ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა და უზრუნველყონ სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყება.

3. ქ. ქ. თბილისის (თ. ეგაძე), რუსთავის (რ. ურუშაძე), გორისა (ვ. ზექალიშვილი) და ბოლნისის (ზ. ბარათაშვილი) რაიონის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გაითვალისწინონ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მათი აღმოფხვრის მიზნით;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლებზე ხელმძღვანელობა და კონტროლი ფიზიკის სწავლებისადმი, იზრუნონ ფიზიკის კაბინეტის კეთილმოწყობისა და სასწავლო მუშაობაში მისი სისტემატურად გამოყენებისათვის;

გ) შეისწავლონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლების მუშაობა და ისეთები, რომლებიც ვერ ახერხებენ არსებითად გარდაქმნან მუშაობა, სათანადო წესის დაცვით, გაათავისუფლონ სამუშაოდან;

დ) მიიღონ საჭირო ზომები რათა პედაგოგიური კაბინეტების ხაზით რეგულარულად წარმოებდეს ფიზიკის მასწავლებელთა სექციების მუშაობა; სექციების ხელმძღვანელებად შეარჩიონ ფიზიკის სწავლებაში გამოცდილი და მცოდნე მასწავლებლები.

4. ქ. რუსთავის განათლების განყოფილების გამგემ (რ. ურუშაძე) დაადოს ადმინისტრაციული სასჯელი ქ. რუსთავის მე-19 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელ ე. კატანოვას $VI^{1}$ კლასის მოსწავლეთა დაბალი მომზადებისა და ამ კლასის მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების გასწორების დროს უტაქტო მოქმედებისათვის.

5. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ტ. ტყემალაძე) უზრუნველყოს VI და VII კლასების ფიზიკის სახელმძღვანელოების გამოცემა მოსწავლეთა კონტინგენტის შესაბამისად და ამ კლასებისათვის ახალი სასწავლო პროგრამებით ფიზიკის სწავლების მეთოდური კრებულების რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა (გრ. ფოფხაძე) მოამზადოს და გამოსცეს მეთოდური ლიტერატურა ფიზიკის სწავლების თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისად და ფართოდ განაზოგადოს ფიზიკის მასწავლებელთა მოწინავე გამოცდილება.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (თ. ზახაშვილი) მიმდინარე წლის აგვისტოში მოაწყოს ქალაქებისა და რაიონების მეთოდური კაბინეტების ფიზიკის სექციის ხელმძღვანელთა ერთკვირიანი სემინარი VI, VII და VIII კლასების ახალ სასწავლო პროგრამებსა და და სახელმძღვანელოებში შეტანილი ცვლილებების გასაცნობად.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე) სისტემატური კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 26 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის
4 აგვისტოს დადგენილებით

# მითითებანი

## საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ

საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი მითითებებით:

1. საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიიღებიან ორივე სქესის 16 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქენი, რომლებიც მუშაობენ წარმოებებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე ომისა და შრომის ინვალიდები.

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა:**

ა) საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში მოსწავლეთა მიღებისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს III–VIII კლასებში იმ ახალგაზრდების ჩარიცხვას, რომლებიც დასაქმებული არიან სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში;

ბ) პროფტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეები საღამოს სკოლებში მიიღებიან შესაბამისი სასწავლებლის დირექტორის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

2. აკრძალულია 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა გადაყვანა საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებში. რვაკლასდამთავრებული არასრულწლოვანი მოსწავლის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში გადაყვანა შეიძლება მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დადგენილებით, რომლებიც ზრუნავენ მათ სამუშაოზე მოსაწყობად. აკრძალულია ასეთი მოსწავლის საღამოს სკოლიდან გარიცხვა ზემოთ ხსენებულ კომისიასთან შეთანხმების გარეშე.

3. კატეგორიულად აკრძალულია ყველა ტიპის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლა; გამონაკლისის წესით, ჯანმრთელობის ან ოჯახური პირობების გამო, დღის სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა საღამოს სკოლაში გადასვლა ხდება აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქ. თბილისისა და რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეების ნებართვით.

შენიშვნა: ერთი სკოლიდან მეორე სკოლის XI კლასში თუნდაც გამონაკლისის წესით გადაყვანილი წარჩინებული მოსწავლე კარგავს მედლის მიღების უფლებას.

4. საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების XI კლასში იმ ერთეული ახალგაზრდობის (17 წლის ასაკის ზევით) მისაღებ გამოცდებზე დაშვების საკითხს, რომელთაც სწავლაში ხანგრძლივი წყვეტის (სამი და მეტი წელი) გამო არა აქვთ საბუთი განათლების შესახებ, წყვეტს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

5. წარმოებაში დასაქმებული და საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული სათანადო საბუთების მქონე ახალგაზრდების საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების XI კლასებში ჩარიცხვას აწარმოებს შესაბამისი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

6. სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგში მომუშავე რვაწლიანი ან ათწლიანი სკოლის რვაკლასდამთავრებული პირები ჩაირიცხებიან საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების IX კლასში და საშუალო განათ-

ლების მისაღებად ისწავლიან კანონით განსაზღვრულ სამ წელს (IX, X, XI კლასები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ის პირები, რომლებიც დარჩნენ ათწლიანი სკოლის IX კლასში, მუშაობის დაწყების შემდეგ ჩაირიცხებიან საღამოს სკოლის X კლასში.

8. ის პირები, რომელთაც დაამთავრეს ათწლიანი სკოლის IX კლასი ან თერთმეტწლიანი საშუალო სკოლის X კლასი და მუშაობენ სახალხო მეურნეობის ერთ რომელიმე დარგში, ჩაირიცხებიან საღამოს სკოლის XI კლასში.

9. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების IX—XI კლასების მოსწავლეთათვის უცხოური ენები არასავალდებულო საგნებია.

10. საღამოსა და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების როგორც დაკომპლექტებულ, ისე ახალგახსნილ კლასებში მოსწავლეთა მიღება წარმოებს ყოველწლიურად, თითოეული სკოლისათვის სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის ფარგლებში.

11. სკოლებისა და კლასების დაკომპლექტებისას პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს საღამოს სკოლების V—VIII კლასების ქსელის გაშლას.

12. სასწავლო წლის დასასრულს სკოლის დირექტორი, მოსწავლეთა რაოდენობისა და შემდეგი სასწავლო წლის კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის საფუძველზე, განსაზღვრავს, რომელ კლასში მოსწავლეთა რა რაოდენობა უნდა იქნეს მიღებული და ამის შესაბამისად აცხადებს სკოლაში მიღებას.

13. სკოლებში ახალი ნაკადის მიღება ცხადდება 25 მაისიდან 31 აგვისტომდე. სწავლებაში ჩასაბმელად სკოლის დირექტორი, წარმოება-დაწესებულებების ადმინისტრაციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ატარებს ახსნა-განმარტებით მუშაობას, აქვეყნებს განცხადებებს, სარგებლობს ახალგაზრდობის კრებებით, ადგილობრივი გაზეთითა და რადიოსატრანსლაციო ქსელით.

**შენიშვნა:** გამონაკლისის წესით სკოლებს უფლება ეძლევათ მოსწავლეთა ჩარიცხვა აწარმოონ სასწავლო წლის პირველ სემესტრში.

14. საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემსვლელი პირი განცხადებასთან ერთად წარადგენს შემდეგ საბუთებს:

ა) სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ ხელმოწერილ და ბეჭედდასმულ მოწმობას ან ცნობას განათლების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ცნობას სამუშაო ადგილიდან;

გ) ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან;

დ) დაბადების მოწმობას;

ე) ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

15. სკოლაში შემსვლელის განცხადებას და დოკუმენტებს ღებულობს სკოლის დირექტორი ან დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში.

**შენიშვნა:** იქ, სადაც არის დაუსწრებელი საშუალო სკოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი, მოსწავლეთა მიღებას აწარმოებს პუნქტის გამგე, დაუსწრებელი საშუალო სკოლა ვალდებულია დაამყაროს კონტროლი საკონსულტაციო პუნქტების მიერ მოსწავლეთა ჩარიცხვის საქმეზე. მიღების დამთავრების შემდეგ, პუნქტის გამგე 1-ლი სექტემბრისათვის სკოლას უგზავნის სასწავლებელში ახლად ჩაბმულთა დოკუმენტებს და ჩატარებული გამოცდების მასალებს.

16. ის პირები, რომელთაც დამთავრებული აქვთ რვაწლიანი და საშუალო სკოლის IV—IX კლასები და მას შემდეგ არ გასულა 3 წელზე მეტი; ჩაირიცხებიან საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების შესაბამის კლასებში უგამოცდოდ.

17. ის პირები, რომელთაც სწავლაში, სამ, ან სამ წელზე მეტი წყვეტა აქვთ და სკოლაში შესვლისას განცხადებასთან ერთად ვერ წარადგენენ დოკუმენტს განათლების შესახებ, აბარებენ შესასვლელ გამოცდებს (V—X კლასებში დირექტორის, ხოლო XI კლასში მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით) წინა კლასის პროგრამით შემდეგ საგნებში:

V—VI კლასებში—მშობლიურ ენაში (წერითი), არითმეტიკაში (ზეპირი);

VII კლასში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი);

VIII კლასში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრა-არითმეტიკაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი);

IX—X კლასებში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი);

XI კლასში—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით—მშობლიურ ენაში (წერითი) ალგებრაში (წერითი) გეომეტრიაში (ზეპირი).

**შენიშვნა:** სკოლებში ამ წესით მიღებული მოსწავლეები ვალდებული არიან გამოსაშვები (VIII და XI) კლასის დამთავრებამდე ჩააბარონ გამოცდები ყველა იმ საგანში, რომლებიც შეიტანება რვაწლიანი განათლების მოწმობასა და საშუალო განათლების ატესტატში.

18. გამოცდების დროს წერითი სამუშაოს სახეები უნდა შედგებოდეს: მშობლიურ ენაში—წერითი ნამუშევრებისაგან სათანადო კლასისათვის განკუთვნილი წერითი მუშაობის თემატიკის მიხედვით, მათემატიკაში—VII—VIII—IX—X—XI კლასებში ერთი ამოცანისა და ორი მაგალითისაგან.

19. ზეპირი გამოცდები ტარდება ინდივიდუალური გამოკითხვის წესით.

20. გამოცდების ჩასატარებლად წერითი სამუშაოს ტექსტს, კითხვებს, ამოცანებსა და მაგალითებს ამზადებს შესაბამისი საგნის მასწავლებელი და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

21. გამოცდები ტარდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრილით, ამასთან ჯგუფში ერთ დღეს შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი გამოცდა.

22. საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შემსვლელს თვითეულ საგანში ცდიან სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სათანადო საგნის მასწავლებელი და ასისტენტი.

23. გამოცდების შედეგებს იხილავს სკოლის პედაგოგიური საბჭო. შესაბამის კლასებ ი მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით და ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლაში ახალმიღებულ თითოეულ მოსწავლეზე უნდა შედგეს პირადი საქმე.

24. ტექნიკუმებისა და სხვა სპეციალური საშუალო სასწავლებლების მოსწავლეები, აგრეთვე ამ ტიპისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებული პირები საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ მიიღებიან.

25. დღის სკოლებიდან გარიცხული მოსწავლეები საღამოს სკოლაში მიიღებიან გარიცხვის ვადის გასვლის შემდეგ იმ პირობით, თუ ისინი მუშაობენ.

26. ამ მითითებათა გამოცემასთან დაკავშირებით უქმდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1960 წლის 8 აგვისტოს დამტკიცებული მითითებანი საღამოს (ცვლიანი მუშათა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ.

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველოს უფროსი ვ. ჩინჩალაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 5 აგვისტოს ბრძანება № 401

### 1970 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების შ ე ს ა ხ ე ბ

განიხილა რა მიმდინარე წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადმოცემულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ პედაგოგიური და ფიზკულტურის ინსტიტუტების, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების პედინსტიტუტების კურსდამთავრებულთა სამუშაოზე განაწილების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ 1970 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადმოცემული უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტებიდან დღეისათვის სამუშაოზე განაწილებულია 1.100-ზე მეტი სპეციალისტი.

ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე დროულად გამოცხადებისა და ადგილებზე მათი დამაგრების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სასწავლო წლის დაწყებამდე მოაწყონ დამწყებ მასწავლებლებთან ორგანიზებულად შეხვედრა, გააცნონ მათ სკოლისა და მასწავლებლის წინაშე მდგომი ახალი ამოცანები;

ბ) დამწყებ მასწავლებელთათვის პედაგოგიურ-მეთოდური და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე საჭირო დახმარების გასაწევად ფართოდ გამოიყენონ განათლების განყოფილებებისა და მეთოდური კაბინეტის მუშაკები და დახელოვნებული მასწავლებლები;

გ) უზრუნველყონ ახალგაზრდა სპეციალისტების დროული გამგზავრება სამუშაო ადგილზე;

დ) დამწყები მასწავლებლები უზრუნველყონ ნორმალური პე-დაგოგიური დატვირთვით, ხოლო სოფლად მივლინებულნი — უფასო კომუნალური მომსახურებით (ბინით, გათბობით და განათებით);

ე) დაწყებით კლასებში მასწავლებლებად პირველ რიგში დანიშნონ მათ განკარგულებაში მივლინებული უმაღლესი განათლების მქონე დაწყებითი განათლების ფაკულტეტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტები;

ვ) კატეგორიულად აეკრძალონ ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის სამუშაოდან განთავისუფლების და ერთი სკოლიდან მეორეში გადაყვანის შესახებ მომართვებისა და ბრძანებების ასლების ხელზე გაცემა.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიმდინარე წლის 25 სექტემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზურის მიღების შესახებ დასტური და წერილობითი ანგარიში თითოეული ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე გამოცხადებისა და მუშაობის დაწყების შესახებ; ამავე რიცხვისათვის წარმოადგინონ დამწყებ მასწავლებლებთან ჩატარებული მუშაობის შესახებ წერილობითი ინფორმაცია;

ბ) მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე აცნობონ უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების რექტორებს თითოეული ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე გამოცხადებისა და მუშაობის დაწყების შესახებ; ამავე რიცხვისათვის გადმოუგზავნონ მათ სამუშაოზე გამოცხადებულ ახალგაზრდა სპეციალისტის საგზურის მიღების შესახებ დასტური;

გ) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებიდან სამი წლის გასვლამდე არ მიიღონ სამუშაოზე ისეთი ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელსაც არ ექნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზური, ან უმაღლესი სასწავლებლის რექტორის ცნობა (ფორმა № 3) იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა სპეციალისტს მიცემული აქვს სამუშაოზე დამოუკიდებლად მოწყობის უფლება;

დ) ახალგაზრდა სპეციალისტი, როგორც წესი, ვალდებულია ადგილზე იმუშაოს არანაკლებ სამი წლისა, მაგრამ თუ იგი არ გამოცხადდა სამუშაოზე ან მისი განთავისუფლება სხვადასხვა მი-

ზეზების გამო სამ წელზე ადრე აუცილებელია, სამუშაოდან მათი განთავისუფლების საკითხი განიხილონ და გადაწყვიტონ გაზრდა სპეციალისტის მიერ მიღებული გადასაყვანი ხარჯების დაბრუნების შემდეგ

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძემ) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე და შედეგები მომახსენოს პერიოდულად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ გან-თლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 4 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 6 აგვისტოს ბრძანება № 405

**1970 წლის ზაფხულის პერიოდში მუშაობისა და მოსამსახურეების ბავშვთა დასვენების ორგანიზაციის თაობაზე ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ**

გავეცანი რა რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები დროულად შეუდგნენ საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის მზადებას. შეირჩა საგარაკო ადგილები და დროულად მომზადდა სამოედნო მუშაობისათვის საჭირო პირობები. დაზუსტდა აგარაკზე გასაყვან და სამოედნო მუშაობაზე გადასაყვან აღსაზრდელთა სიები, აღმზრდელ-მასწავლებელთა და სამედიცინო პერსონალის შტატი. სათანადო ღონისძიება გატარდა საგარაკოდ შერჩეულ შენობა-ნაგებობათა კეთილმოწყობისა და აღსაზრდელთა კვების პროდუქტებით უზრუნველსაყოფად.

ზაფხულის პერიოდში ისვენებს სკოლა-ინტერნატისა და საბავშვო სახლის 2.400-ზე მეტი აღსაზრდელი. ქობულეთისა და პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმებში გაიგზავნა რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის 1.500-ზე მეტი მოსწავლე.

ორგანიზებულად დაიწყო და დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობა ქობულეთის (გ. კვაჭაძე), პატარა ცემის (მ. ტაბატაძე), გორდის (დ. უგულავა), ბოდბის (ა. აბულაშვილი) სკოლა-ინტერნატებში, ცოჯრის № 1 (მ. მგალობლიშვილი), № 2 (ზ. ვაწაძე), სამგორის (გ. ქვრივიშვილი) საბავშვო სახლებსა და სამტრედიის (მ. შენგელია) სპეციალურ სკოლაში.

დასახელებულ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა; სისტემატურად ეწყობა ტურისტული ლაშქრობები, სპორტული შეჯიბრებები, ექსკურსიები, მოძრავი თამაშობანი, გართობა დასვენების დილა-საღამოები, მხატვრული თვითმოქმედების კონცერტები და სხვა. სისტემატურად ხდება საბავშვო კინოფილმების ჩვენება.

ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურებას; მოწყობილია მედპუნქტები, იზოლატორები, გოგონებისათვის ჰიგიენის ოთახები და სხვ. ჩატარებულია აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება, ფიზიკურად სუსტი აღსაზრდელები გადაყვანილი არიან გაძლიერებულ კვებაზე, კვება მრავალფეროვანი და ოთხჯერადია.

ორგანიზებულად ტარდება საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობა სამტრედიის სპეციალურ სკოლაში. სკოლა ზაფხულს ატარებს ბაკურიანში. ბანაკი მოწყობილია ბუნების წიაღში, აღსაზრდელები ცხოვრობენ კარვებში, რომელთა განლაგება კარგად არის შერწყმული ბუნებასთან. საკმაო ყურადღება ექცევა აღმზრდელობით მუშაობას, სისტემატურად ტარდება ტურისტული ლაშქრობები, სპორტული შეჯიბრებები, ექსკურსიები, საუბრები, დილა-საღამოები. საჭირო ყურადღება ეთმობა აღსაზრდელთა შრომით საქიანობას. სამზარეულო და სასადილო მოწყობილია კარვებში და სადილების დამზადებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ თვით აღსაზრდელები. სასადილოს ჭურჭელი ირეცხება ცხელი წყლით, მუშაობს მაცივარი და სხვ. გატარებული ღონისძიებების შედეგად სპეციალურ სკოლაში ადგილი არ ჰქონია აღსაზრდელთა ბანაკიდან გაპარვის არცერთ შემთხვევას.

მიუხედავად აღნიშნული მდგომარეობისა, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების აღსაზრდელების საზაფხულო გამაჯანსაღებელ მუშაობას ახასიათებს რიგი ნაკლოვანებები: ბევრ სკოლა-ინტერნატსა და საბავშვო სახლში არ ჩატარებულა აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება. თანამშრომელთა უმრავლესობას არ გააჩნია სანიტარული წიგნაკები.

მიუსერას დამხმარე სკოლა-ინტერნატის ბანაკი ექიმის გარეშე მუშაობს, ბანაკში მომუშავე ექთანიც კი შეთავსებითაა, რის გამო აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება არ ტარდება. [illegible] ბანაკში თბილისის ყრუ ბავშვთა და № 2 დამხმარე, გუმათისა და ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატებმა აღსაზრდელები სამედიცინო ცნობების გარეშე გაგზავნეს, რის გამო სკოლა-ინტერნატში 40 აღსაზრდელის შესახებ სამედიცინო ცნობები არ მოიპოვება და საჭირო შემთხვევაში შეუძლებელი ხდება მათი ვაქცინიზაცია. ბანაკისათვის განკუთვნილი შენობა შესაკეთებელია. ექიმის გარეშე მუშაობს აგრეთვე პატარა ცეცხის სატყეო სკოლა-სანატორიუმიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოხუმის № 1 სკოლა-ინტერნატის შენობაში მოთავსებულ რესპუბლიკურ № 1 სპორტულმა სკოლა-ინტერნატმა ვერ შეასრულა ბანაკში გასაყვანი აღსაზრდელთა გეგმა, 200 აღსაზრდელის ნაცვლად გაყვანილია 164. აღნიშნულ ბანაკში არ არის ჩამოყალიბებული აღსაზრდელთა თვითმოქმედი წრეები, კვება სამჯერადია და სხვა.

ბოდბის სკოლა-ინტერნატის ბანაკში აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი პირადი ჰიგიენის საგნებით (ჯაგრისი, კბილის ფხვნილი, პირსახოცი). საპირფარეშოებში უსუფთაობაა. ამ ბანაკში სკოლა-ინტერნატებიდან გაგზავნილ აღსაზრდელებს არ გააყოლეს აღმზრდელები, რაც ართულებს მუშაობას.

აგარაკებზე გაყვანილ ბანაკებსა და სამოედნო მუშაობაზე გადასულ დაწესებულებათა ერთ ნაწილში სათანადო ყურადღება არ ექცევა აღსაზრდელთა შორის კულტ-მასობრივ მუშაობას, ნაკლებად ტარდება ტურისტული ლაშქრობები, ექსკურსიები, სპორტული შეჯიბრებები, დილა-საღამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და სხვ.

ბანაკების საგრძნობი ნაწილი გახსნილია სანეპიდსადგურების ნებართვის გარეშე.

ზოგან ყურადღება არ ექცევა აღსაზრდელთა სუფთა ჰაერზე ყოფნას, არ ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიშები, არაა შექმნილი პირობები წყლისა და მზის აბაზანების მისაღებად.

ბანაკების ერთი ნაწილი ნაკლებად მარაგდება ახალი ხორცით, რძით, ბოსტნეულითა და ხილით. აღსაზრდელები ოთხჯერადი კვების ნაცვლად ღებულობენ სამჯერად კვებას და ა. შ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

გამაჯანსაღებელ მუშაობაზე გადაყვანილი სკოლა-ინტერნატების, სატყეო სკოლა-სანატორიუმებისა და საბავშვო სახლების დირექტორებმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერებით გააუმჯობესონ ბანაკებისა და მოედნების აღმზრდელ-მასწავლებელთა და სამედიცინო პერსონალის საქმიანობა. სისტემატურად შეამოწმონ მათი მუშაობა, შემოწმების შედეგები განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი;

ბ) კულტ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებით მიაღწიონ აღსაზრდელთა გონივრული დასვენება-გართობისათვის პირობების შექმნას, მოაწყონ დასვენებისა და გართობის ოთახები, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან საშეფო ორგანიზაციები;

გ) მკვეთრად გააუმჯობესონ აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება, სისტემატურად ჩაატარონ აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა და კვების რეჟიმის სწორი ორგანიზაცია;

დ) კვების პროდუქტებით არადამაკმაყოფილებლად მომარაგებისა და კვების რეჟიმის დარღვევის ყველა შემთხვევა გახადონ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების მსჯელობის საგნად;

ე) ყველა ბანაკში დაუყოვნებლივ შემოიღონ ოთხჯერადი კვება;

ვ) თავიანთი შენიშვნები და წინადადებები ზაფხულის გამაჯანსაღებელ მუშაობაში არსებული მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 1970 წლის 10 სექტემბრამდე აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

2. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 4 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
1970 წლის 10 ივნისი

# ინსტრუქცია

## ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების სახსრების ხარჯვის სისწორის შესამოწმებლად

(სახელმძღვანელოდ შინასაუწყებო შემოწმებისათვის)

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და სკოლა-ინტერნატების შემოწმებისას საჭიროა ყურადღება მიექცეს შემდეგ საკითხებს:

დასაბუთებულია თუ არა სათანადო გაანგარიშებებით ხარჯთ-აღრიცხვის მუხლები, ხომ არ არის გაზრდილი სკოლის შენახვის ხარჯები. შეესაბამება თუ არა აღსაზრდელთა ჯგუფებისა და მათი დატვირთვის ფაქტიური რიცხვი გეგმიურ მაჩვენებლებს. შეესაბამება თუ არა ხელფასის ფონდი ადმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის საშტატო განრიგით დადგენილ რაოდენობას, ხოლო რაოდენობა ტიპიურ შტატებს.

ხელფასის სახსრების ხარჯვის შემოწმებისას უნდა დადგინდეს ადმინისტრაციული, პედაგოგიური და მომსახურე პერსონალისათვის ხელფასის დარიცხვის და გაცემის სისწორე. ხომ არ არის შტატით გაუთვალისწინებელ მუშაკთა შენახვის, გაზრდილი განაკვეთების გაცემის, უკანონო შეთავსებების, პრემიების უკანონო გაცემისა და სხვ. ფაქტები. შემოწმდეს ხელფასის გასაცემ უწყისში შეტანილი პირები გაფორმებული არიან თუ არა ბრძანებით სკოლისადმი.

შემოწმება უნდა ჩატარდეს ხელფასის უწყისების და პირადი ანგარიშების სატარიფიკაციო სიებთან, საშტატო განრიგთან, ტაბელებთან და სხვა საბუთებთან შედარების გზით.

ხომ არ იყო ადრე განაღდებული უწყისების—ჩეკის განმეორებით გამოსაწერად გამოყენების და მიღებული სახსრების ხარჯებში ჩამოწერის შემთხვევები, ანდა ერთდა მავე სამუშაო [illegible] მასწავლებლების ხელფასისათვის ორი ან მეტი უწყისით სახსრების გამოწერის, აგრეთვე დროებითი შრომისუუნარობისათვის ფულადი დახმარებისა და იმავე პერიოდისათვის ხელფასის გაცემის ფაქტები: ხომ არ არის შტატგარეშე, სიისგარეშე მუშაკთა ხელფასის ფონდის ანგარიშში უსწორო და უკანონო გაცემათა შემთხვევები. ამ გაცემათა სისწორე უნდა დადგინდეს სამუშაოთა ფაქტიური შესრულების შემოწმებით, როგორც საბუთების მიხედვით, აგრეთვე ადგილზე გამოკვლევის გზით.

შემოწმდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დაწყებითი კლასების ყველა მასწავლებელი ატარებს თუ არა ფიზკულტურის და სიმღერის გაკვეთილს, თუ არა, რა მიზეზით, რომელი საბუთის საფუძველზე და ვის მიერ არიან ისინი განთავისუფლებულნი ამ გაკვეთილებიდან. არსებობს თუ არა ამ მასწავლებლების სხვა სასწავლო-სააღმზრდელო სამუშაოთი დატვირთვის გეგმა და როგორ ხორციელდება მისი შესრულების კონტროლი.

ვინ აძლევს რუსული ენის გაკვეთილებს სოფლის არარუსულ დაწყებით სკოლებში: ძირითადი მასწავლებელი თუ რუსული ენის მასწავლებელი. რა საბუთის საფუძველზეა განთავისუფლებული რუსული ენის სწავლებისაგან ძირითადი მასწავლებელი და სხვა რა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობითაა იგი დატვირთული, როგორია რუსული ენის მასწავლებლის დატვირთვა.

სად ტარდება მეცადინეობა შრომაში 5—8 კლასების მოსწავლეებთან (კლასში თუ სახელოსნოში). სახელოსნოებში სამუშაო ადგილების რიცხვი. მოსწავლეთა რა რაოდენობის დროს იყოფიან კლასები ჯგუფებად. ასეთი დაყოფის აუცილებლობა.

თუ არის დაცული ძირითადი პირობები უცხო ენაში მეცადინეობისას კლასების ჯგუფებად დაყოფის დროს (კვალიფიციური მასწავლებლები, აუცილებელი შენობები, მოსწავლეთა რიცხვი კლასში აღემატებოდეს 25-ს). აქვს თუ არა უცხო ენის მასწავლებლებს სპეციალური განათლება და რომელი საბუთებით დასტურდება ეს.

რომელ კლასებში და რა პირობებში ტარდება ვაჟებისა და გოგონების განცალკევებული მეცადინეობა ფიზკულტურის გაკვე-

თილებზე. სკოლაში არის თუ არა პარალელური კლასები და თუ ერთდებიან ისინი ფიზკულტურული მეცადინეობის ჩატარებისას.

წარმოებს თუ არა ნაციონალურ სოფლის სკოლებში რუსულ ენაში მეცადინეობის ჩატარებისას კლასების ჯგუფებად დაყოფა, რომელ კლასებში და რა პირობებში.

რომელ კლასებში, რომელ საგნებში და საათების რა რაოდენობაა დათმობილი ფაკულტატიური მეცადინეობისათვის. მთლიანად გამოიყენება თუ არა საათები. ვინ ატარებს ფაკულტატიურ მეცადინეობას და ხელმძღვანელთა ანაზღაურების წესი.

შემოწმდეს რამდენად სწორად სწარმოებს ტანსაცმლის გაცემა აღსაზრდელთათვის სკოლა-ინტერნატიდან გასვლისას (სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1962 წლის 24 აპრილის № 108 წერილი).

ვიდრე შევუდგებოდეთ კვების ფულადი სახსრების ხარჯვის სისწორის შემოწმებას მატერიალურად პასუხისმგებელი პირის თანდასწრებით უნდა ავარმოოთ მოულოდნელი შემოწმება საწყობში არსებული პროდუქტების აწონვითა და დათვლით.

მატერიალურად პასუხისმგებელ პირს წინასწარ უნდა ჩამოერთვას ხელწერილი, რომ ყველა მიღებული და გაცემული პროდუქტები გაფორმებულია სათანადო საბუთით და რომ შემოწმების მომენტში უსაბუთოდ მიღებული და გაცემული პროდუქტი არ არის. საჭიროა აგრეთვე შემოწმდეს ქვაბში ჩაუშვებელ და სამზარეულოში გაუცემელი პროდუქტების რაოდენობა. ფაქტიური რაოდენობა უნდა შევადაროთ საალრიცხვო მონაცემებს.

**შემოწმებისას უნდა დადგინდეს:**

—ხორციელდება თუ არა კონტროლი მორიგე აღმზრდელისა და მკურნალის მხრივ პროდუქტების ქვაბში ჩაშვებაზე. წარმოებდა თუ არა საწყობში არსებული კვების პროდუქტების ნაშთების ყოველთვიური მოხსნა, ფორმდებოდა თუ არა შემოწმების აქტები, აღრიცხვაში პოულობდა თუ არა გამოხატულებას პროდუქტების ზედმეტობა და დანაკლისი.

დაცული იყო თუ არა კვების ფულადი ნორმები ერთ კაცზე, ხომ არ არის პროდუქტების ხარჯვაში მკვეთრი გადახვევები ბავშვთა კვების ნატურალური ნორმებისაგან. სკოლა-ინტერნატი როგორ არის უზრუნველყოფილი პროდუქტებით. თუ პროდუქტებს ბაზარზე და კოლმეურნეობებში იძენენ, როგორ ფასებში და რაგვარად ფორმდება ეს შესყიდვები.

—კვებაზე ფაქტიურად დახარჯული სახსრების ჯამი შეესაბამება თუ არა ამ დანიშნულებით საჭირო ხარჯებს, ბავშვთა ფაქტიური რაოდენობიდან გამომდინარე. გადახარჯვის არსებობისას დადგინდეს მიზეზები.კერძოდ, შემოწმდეს სკოლა-ინტერნატის თანამშრომელთა კვება ბავშვების ხარჯზე ხომ არ წარმოებს. ასეთი ფაქტების დადგენისას შემოწმდეს არსებობს თუ არა ბრძანება სკოლისადმი თანამშრომელთა კვებაზე ჩარიცხვის შესახებ და გამოიწერება თუ არა მათთვის სურსათი თანახმად მენიუ-განაწილებისა. მთლიანად და დროულად ახდევინებენ თუ არა თანამშრომლებს კვების გადასახადს.

მთლიანად იხარჯება თუ არა პროდუქტები, ამისათვის ბაზის ზედნადები უნდა შედარდეს პროდუქტების შემოსავლის შემაჯამებელ უწყისებთან და კვების პროდუქტების აღსარიცხავ წიგნთან. უნდა აწარმოოთ შემხვედრი შემოწმება ბაზაში და დაადგინოთ, ჰქონდათ თუ არა იქ ზედნადებებში აღნიშნული პროდუქტები.

—პროდუქტები სწორად ჩამოიწერება თუ არა ხარჯში. ამისათვის შემაჯამებელი უწყისები უნდა შედარდეს საწყობიდან სამზარეულოსათვის მათი გაცემის ზედნადებებთან და მენიუ-განაწილებებთან, აგრეთვე საწუნმდებლო წიგნთან. ბავშვთა რაოდენობა, რომელზედაც გამოიწერა პროდუქტები მენიუ-განაწილებით, შედარდეს ბავშვების ფაქტიურ რაოდენობას, რომელიც კმაყოფაზე იმყოფებოდა მორიგე აღმზრდელის წიგნის მონაცემების თანახმად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შაბათ და კვირა დღეებში პროდუქტების ჩამოწერის სისწორეს, იმის გათვალისწინებით, რომ შაბათს ნასადილევს ბავშვებს შეუძლიათ წავიდნენ სახლში და არ დაბრუნდნენ ორშაბათამდე.

**ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენის ხარჯებში შემოწმდეს:**

—გაზრდილი ხომ არ არის ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენი ასიგნობანი, გათვალისწინებულია თუ არა ხარჯთაღრიცხვებში მისი თანაყოფიერება წლის დასაწყისისათვის. დაცულია თუ არა ზემდგომი ორგანოების დადგენილებით დამტკიცებული ნორმები და ინვენტარის ჩამოთვლა.

ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენისას ხომ არ ჰქონია ადგილი უსაქონლო ანგარიშების განაღდების ფაქტებს. ხომ არ ყოფილა ძვირადღირებული და ზედმეტი ინვენტარის შეძენის შემთხვევები;

—ინვენტარი მთლიანადაა აღებული შემოსავალში თუ არა, პირველადი საბუთები (ზედნადებები, ანგარიშები და სხვა საბუთები) დართეს ინვენტარის აღრიცხვის წიგნს. წარმოებდა თუ არა [illegible] ინვენტარის ნიშანდება საწყობში შეტანისას. თუ რბილი ინვენტარის შეკერვა სკოლაში წარმოებს, შემოწმდეს მის შეკერვაზე მასალის ჩამოწერის სისწორე;

—ხორციელდება თუ არა საწყობში და ექსპლოატაციაში მყოფი ინვენტარის ცალცალკე აღრიცხვა. გაპიროვნებულია თუ არა ინვენტარი მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე. ჩატარდეს შერჩევითი ინვენტარიზაცია, როგორც საწყობში, ისე ჯგუფებში აღსაზრდელებთან და აღმზრდელებთან მყოფ ცალკეული ჯგუფების (საგნების) ინვენტარისა. დანაკლისების გამოვლინებისას დადგინდეს მიზეზები.

—ხომ არ იყო უმეთვალყურეოდ შენახვის შედეგად ქონების გაფუჭების შემთხვევები. რა ზომებია მიღებული იმ პირთა მიმართ, რომელთაც დანაშაული მიუძღვით ინვენტარის გაფუჭებასა და დანაკლისში. ხომ არ არის დაშვებული ინვენტარის თანამშრომელთა პირად სარგებლობაში მიცემის შემთხვევები.

—როგორ ჩამოიწერება რბილი ინვენტარი ტარების ვადის მოახლოების (გასვლის) თუ გაცვეთის მიხედვით. დგება თუ არა აქტი ინვენტარის განადგურებაზე და წარმოებს თუ არა ძველმანის (ძონძის) შემოსავალში აღება. ბავშვების სხვა სკოლა-ინტერნატებში გადასვლისას არმატურული სიებით სწორად ჩამოიწერება თუ არა ინვენტარი.

საწყობში ახალი რბილი ინვენტარის რაოდენობის შემოწმებისას საჭიროა დადგინდეს ინვენტარის ფასები. აღნიშნულ საქარხნო იარლიყებზე ან ეტიკეტებზე, შეესაბამებიან თუ არა მომწოდებელთა საბუთებში აღნიშნულ ფასებს.

**საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯებისათვის სახსრების ხარჯვის სისწორის შემოწმებისას დადგინდეს:**

—წარმოებს თუ არა საწვავი მასალის აღრიცხვა და ხორციელდება თუ არა კონტროლი მის ხარჯვაზე, ხომ არ არის არასამსახურებრივი შენობების, რომლებიც უკავიათ სკოლის მუშაკებს და სხვა პირებს გათბობის, წყალმომარაგების და კანალიზაციის ხარჯების უკანონოდ სკოლისათვის მიკუთვნების შემთხვევები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ხომ არ არის დაშვებული გადახარჯვები და ზედმეტობანი საკანცელარიო ნივთების შეძენაში.

—შენობებისა და ინვენტარის მიმდინარე რემონტის სამუშაოები სახელმწიფო საწარმოებს ეძლევათ თუ წარმოებს კერძო პირების მეშვეობით. შენობებისა და ინვენტარის მიმდინარე რემონტისათვის სახსრების ხარჯვაში ხომ არ არის დაშვებული ზედმეტობები და გადახარჯვები.

კაპიტალურ რემონტზე სდგებოდა თუ არა დეფექტური უწყისები და ხარჯთაღრიცხვები, კაპიტალურ რემონტში მოიჯარადრისათვის გადახდილი სამუშაოები შეესაბამება თუ არა ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას. სამუშაოების სამეურნეო წესით შესრულებისას შემოწმდეს რემონტისათვის საჭირო მასალების შემოსავალში აღების სისრულე, დაცულობა (უვნებლობა) და ჩამოწერის სისწორე. ჩამოწერილი მასალების შეფარდება შესრულებულ სამუშაოთა მოცულობასთან და ხარჯვის ნორმებთან. ხომ არ არის კერძო პირთა სამუშაოებისათვის გაზრდილი შეფასებებით და შეუსრულებელ სამუშაოთა მოცულობისათვის გადახდის შემთხვევები.

**სკოლა-ინტერნატებში შემოწმების ჩატარებისას უნდა დადგინდეს:**

მთლიანადაა თუ არა გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვაში მშობელთა გადასახადის შემოსვლა. რა თანხას შეადგენს მშობელთა გადასახადი სკოლის წლიურად შენახვის დამტკიცებულ ასიგნობებთან. აღსაზრდელთა რა რაოდენობაა ნაწილობრივ ან მთლიანად განთავისუფლებულ სკოლა-ინტერნატში მათი შენახვის გადასახადისაგან. დასაბუთდეს განთავისუფლება ან შემცირება არსებობს თუ არა მოსწავლეთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობის შემოწმების აქტები, ცნობები ოჯახის საერთო შემოსავალსა და მის შემადგენლობაზე.

მთლიანადაა თუ არა შემოსავალში აღებული მშობლებისაგან მათი შვილების სკოლა-ინტერნატში შენახვისათვის შემოსული თანხები. აღირიცხება თუ არა მშობლებისაგან გადასახადის მიღების ქვითრები, როგორც მკაცრი ანგარიშგების ბლანკები. არის თუ არა მშობელთა დავალიანება. რა ზომებია მიღებული დავალიანების დასაფარავად.

სკოლა-ინტერნატი სახელოსნოებიდან და დამხმარე მეურნეობებიდან რა შემოსავალს ღებულობს. არის თუ არა სპეცსახსრების ხარჯთაღრიცხვა და აღსაზრდელთა საწარმოო სწავლების დამტკიცებული სასწავლო გეგმა. მთლიანადაა თუ არა აღებული შემოსავალში სპეცსახსრების შემოსავლები. წარმოებს თუ არა სპეციალური სახსრების დანიშნულებათა შესაბამისად ხარჯვა, როგორც ეს გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვებით.

საწარმოო სახელოსნოების არსებობის პირობებში შემოწმდეს ნედლეულისა და მასალების შესაძენი სახსრების ხარჯვისა და მათი ჩამოწერის სისწორე. არის თუ არა ნედლეულისა და მასალების ხარჯვის დამტკიცებული ნორმები და როგორ იცავენ მათ.

მუშების შრომის ანაზღაურებში ხომ არ არის წანამატები, ან ისეთი შემთხვევები, როდესაც სკოლის აღსაზრდელთა ან მოწაფეების შრომა, გაწეული ნაწარმთა დამზადებაზე, შეტანილი იყოს მუშების ხელფასში.

შემოწმდეს როგორაა დაყენებული საბუღალტრო აღრიცხვა, კერძოდ, შემოწმდეს: დაცულია თუ არა საკასო ოპერაციების წარმოების მოქმედი დებულება, სისწორე ყოველი მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიმართ ძირითადი საშუალებებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის წარმოებისა, დროულობა და სისწორე საღრიცხვო რეგისტრებში ძირითადი სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოხატვისა, სისწორე საანგარიშგებო ოპერაციების წარმოებისა.

ამ საკითხების შემოწმებისას უნდა იხელმძღვანელოთ სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1962 წლის 1 ნოემბრის № 316 წერილით „საფინანსო ორგანოების მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტისა და ხარჯთაღრიცხვების შესრულების აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის შემოწმების ჩატარების წესის შესახებ“.

შემოწმებისას უნდა იხელმძღვანელოთ აგრეთვე სსრკ ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციებით: 1956 წლის 24 სექტემბრის № 356 „სკოლა-ინტერნატების ორგანიზების შესახებ“. 1956 წლის 15 ნოემბრის № 417 „სკოლა ინტერნატებში აღსაზრდელთა შენახვის გადასახადის ამოღების წესის შესახებ“, 1957 წლის 24 მაისის № 168 და 1956 წლის 31 მარტის № 94 დანართების გამოყენებით; 1971 წლის 8 აგვისტოს № 251 „სკოლა-ინტერნატების მუშაობის ორგანიზებასთან დაკავშირებულ დამატებითი ღონისძიებების შესახებ“. სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1962 წლის 29 ივნისის № 177 წერილით „სკოლა-ინტერნატების მუშაობის გაუმ-

ჯობესებისა და მათი შენახვის სახსრების უფრო ყაირათიანად ხარჯვის ღონისძიებათა შესახებ" და სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1962 წლის 24 აპრილის № 108 წერილით „სკოლის დამთავრებისას სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა სარგებლობაში ტანისამოსის დატოვების შესახებ".

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების უფროსი ვ. მაქაცარია

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე
12 აგვისტო, 1970 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასწავლო გეგმა

## თბილისის ხმენადაქვეითებულ და გვიანდაყრუებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატისათვის

### II განყოფილება

**1970—1971 სასწავლო წლისათვის**

| №№ რიგზე | საგნების დასახელება | 1 კლ. | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | კვირეული საათები სულ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 4 | 15 | 16 |
| 1 | მშობლიური ენა . . . . . | 14 | 14 | 14 | 12 | 13 | 14 | 8 | 7 | 4 | 4 | 4 | 5 | 113 | |
| 2 | მშობლიური ლიტერატურა | — | — | — | — | — | — | 4 | 4 | 5 | 4 | 5 | 5 | 207 | |
| 3 | მათემატიკა . . . . . . . | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 5 | 5 | 70 | |
| 4 | რუსული ან ქართული ენა | — | — | 2 | 2 | 3 | 3 | 3 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 33 | |
| 5 | ისტორია . . . . . . . . | — | — | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 3 | 14 | |
| 6 | ბუნებისმცოდნეობა . . . | — | — | — | 2 | 3 | 4 | — | — | — | — | — | — | 9 | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | გეოგრაფია . . . . . . . . | — | — | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 13 | |
